№ 119 ივნისი 8, პარასკევი 1890 ივნისი 8, პარასკევი № 119

| გაზეთის ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 9 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, აკჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში-სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სალიტერატურო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

გაზეთი „ივერია" პირველის ივნისიდგან წლის დამლევამდე ღირს 6 მან. და 50 კაპ.

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.


გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში ახალი ისტორიული

პოემა

«კიკოლას ნაამბობი»

აკაკისა.

ფასი 20 კაპ. (6—3)

ქართული თეატრი

—

(როსსის წარმოდგენები)

შაბათს, 9 ივნისს

ნერონი

ტრაგედია 5 მოქმედ., თხზ. კოსსას ნერონის როლს შეასრულებს ბ-ნი როსსი.

კვირას, 10 ივნისს

მე-5 წარმოდგენა სელ აბონემენტ სა

შეილოხა ანუ ვენეციელი ვაჭარი

ტრაგედია 5 მოქმედ., თხზ. შექსპირისა. შეილოხას როლს შეასრულებს ბ-ნი როსსი.

დასაწყისი 8 საათზედ.

დაკვეთილი ბილეთები დილის 12 საათამდე შეინახება. ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში დილის 10—$2^1/_2$ საათამდე და საღამოს $4^1/_2$ საათიდგან წარმოდგენის გათავებამდე. ლიბრეტოები: ფრანგულსა, იტალიანურსა და რუსულს ენაზე ისყიდება თეატრის კასაშივე.

თეატრის ადმინისტრაცია მაყურებელ ქალებსა სთხოვს, რომ პარტერში შლაპები მოიხადონ.

ადმინისტრატორი ფორკატტი


ტფილისი, 7 ივნისი

ეჭვი არ არის, რომ დიდ საქმეს, მის სისრულეში მოყვანას ერთის კაცის მხნეობა და ნიჭი, მისი გარჯა და ნივთიერი ქონება, რაც უნდა უხვად ჰქონდეს ყოველივე ეს მიმადლებული, ვერას გახდება, და იგი დიდი საქმე ფეხს ვერ მოიკიდებს. კერძო კაცი, რაც უნდა დღეგრძელი იყოს, ამ გვარ დიდ საქმეს ძვრას ვერ უზამს. პირ-იქით თვის ძალ-ღონესაც, ნიჭსაც და ქონებასაც ზედ შეალევს, თითონაც დაიღუპება და საქმეც გაუკეთებელი დარჩება. რასაკვირველია, ასეთის თავ-განწირულ კაცის ღვაწლს ზნეობრივი მნიშვნელობა ექმნება მომავლის თაობისათვის; ამ გვარი მოღვაწე სამაგალითო და თითით საჩვენებელი შეიქმნება შვილთა და შვილი-შვილთათვის, მაგრამ დიდისა და საყურადღებო საქმის დროზედ გაუკეთებლობა-კი მაინც საზარალო იქმნება მის დროინდელ საზოგადოებისათვის.

ასეთი დიდი საქმე, მაგალითად, ჩვენის შავითა და ბნელით მოცულის წარსულის გამორკვევა და გაშუქება. ამ საყურადღებო და დიდმნიშვნელობიან საგანზე იმდენი თქმულა ჩვენთა უკეთეს მწერალთაგან, იმდენი წერებულა ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში, რომ ხელ-მეორედ ლაპარაკი ნათქვამის გამეორება-ღა იქნება. მივაქციოთ თუნდა ყურადღება ამ დიდის საქმის ერთ კერძოობას, ერთს მის წვლილს. წარსულის გარკვევით წარმოდგენა და ცნობიერად გაგება ყოვლად შეუძლებელია, თუ იგი წარსული არ ვიცით და საფუძვლიანად არა გვაქვს შესწავლილი. ამისათვის საჭიროა, დაიბეჭდოს და შემდეგ კრიტიკულადაც გაირჩეს ყველა ის ისტორიული წყარონი და მასალანი, რომელთ შემწეობითაც შეიძლება დაიხატოს სრული, მართალი და უტყუარი სურათი ჩვენის წარსულისა. მხოლოდ ამ დიდისა და საძნელო შრომის გაწევის შემდეგ შესაძლოა ჩვენც ოდესმე გვქონდეს რიგიანად და აზრიანად დაწერილი სამშობლოს ისტორია.

ამისთანა დიდს საქმეს, თქმა არ უნდა, არ ეყოფა ერთის კაცის არც შრომა, არც ნიჭი და არც ქონება. ამას უნდა შეეჭიდოს შეერთებული ძალა მრავლისაგან მრავლისა, თავ-განწირვით ილვაწოს რამდენიმე წელიწადი მთელმა თაობამ და მხოლოდ მაშინ დაგვირგვინდება საქმე, რაც უნდა ძნელი იყვეს იგი პირველში.

ყოველ გვარ ამისთანა დიდის საქმის ვითარება ისეთია, რომ სხვაგანაც, უცხოეთშიც ასე, ამ გზით მოევლება ხოლმე ყველა ასეთს დიდ დაწყობილებას. სადაც ერთი კაცი ვერას გახდება, იქ არსდება ამხანაგობა, ან თვით მთავრობა, როგორც კრებული შეერთებულის ძალისა, იკვლევს და აკეთებს ამისთანა საქმეს. დიდი ხანია რუსეთში დაარსებულია მთავრობისაგან რამდენიმე კომისია, რომელსაც ვალად აძევს მოპოვება, შეძენა და გამოქვეყნება საისტორიო მასალისა. კომისიებმაც მრავალი მასალა შეაგროვეს რუსეთის წარსულის შესასწავლად და ამ შეგროვებულის მასალის წყალობით შესაძლებელი გახდა რუსეთის ისტორიის დაწერა.

ეს ლაპარაკი იმისათვის ჩამოვაგდეთ, რომ უფრო ცხადად გამოგვეთქვა ჩვენი აზრი, სახელდობრ ის აზრი, რომ სადაც ერთის კაცის შრომა და ქონება ვერას გახდება, იქ საჭიროა შეერთება ძალისა, ამხანაგობა, და, უეჭველია, მაშინ საქმე, რაც უნდა ძნელი იყვეს, თავს დაიჭერს და ბოლოს კეთილად დაგვირგვინდება.

ჩვენდა სასიამოვნოდ, თითქოს ამ ბოლოს დროს ამ აზრის უებრობა და ყოვლად-შეუძლებელობა შეიგნო ჩვენმა ახალგაზდობამ, განიზრახა საამხანაგო საქმე და სისრულეშიც მოიყვანა თვისი განზრახული.

ცხრამეტ მაისს ტფილისში დაარსდა „ქართველთა ამხანაგობა", რომელსაც ქართულის წიგნების ბეჭვდა აქვს საგნად. პირველი წიგნი „ამხანაგობისა" უკვე დაიბეჭდა და ახლა მეორის დაბეჭდვის თადარიგში არიან. პირველი წიგნია ბ-ნ ა. ს. პატარა ლექსი-ლეგენდა: დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა. იმედია, ჩვენი განათლებული საზოგადოება სიხარულით მიეგებება ამ დაწყებას, ხელს მოუმართავს ამხანაგობას და მით მისცემს ნივთიერს საშუალებას შეასრულოს თვისი დანიშნულება, ჰბეჭდოს ჩვენთა უკეთეს მწერალთა, აწინდელთა და წარ-

## ფელეტონი

### თამარ დედოფალი

(ხალხში დარჩენილი ლეგენდა).

I

თამარის მეტი შვილი იმის მშობლებს არა ჰყავდათ. თამარი ჯერ ისევ ათი-თორმეტი წლისა იყო, როდესაც იმისმა დედამ საკვირველი სიზმარი ჰნახა. მეორე დღეს დედამ შვილს უამბო: „წუხელ, საყვარელო ჩემო შვილო, მეზმანა, რომ ვითომ შენ მამიშენის ტახტზე იჯექი, მეფურად შემოსილი იყავ და ხელში სამეფო გვირგვინი და სკიპტრა გეპყრა. მჯერა, რომ მალე გახელმწიფდები. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ უფალმა შენს გარდა სხვა შვილი არ მოგვეცა. ღმერთმა მაჩვენოს, შვილო, შენი ბედნიერება და დიდება. იყავ, ჩემო თვალის სინათლევ, მოწყალე, წყნარი, მართლ-მოყვარე, ღარიბ ღატაკთა ნუგეშინის მცემელი." სიზმარი გამართლდა. სიკვდილის წინად მამამ თავისი ქალი სამეფო ტახტზე დასვა და მეფობა დაულოცა. ამას შემდეგ ბევრი ხანი არ გაიარა, რომ თამარს დედ-მამა დაეხოცა. თამარი გახელმწიფდა და მთელი მსოფლიო დაიპყრო. ხოლო თამარს ისა სწყინდა, რომ მარტო კასპიის ზღვა იმის წინაშე ქედს არ იხრიდა. ამის გამო თამარი ძალიან განრისხდა და თავის ლაშქარს უბრძანა, რომ მთელი კასპიის ზღვა ნამჯით მოეფინათ, ზედ ნავთი დაესხათ და ცეცხლი მოეკიდებინათ. აბა ლაშქარი როგორ არ გაუგონებდა თავის საყვარელ პატრონს. თამარის ბრძანება მალე სისრულეში მოიყვანეს. შესწუხდა კასპიის ზღვა, გალაღებული ქედი თამარის წინაშე მოიხარა და ვითარცა მონა, ისე შემოეხვეწა ურჩობა ეპატიებინა. თამარი მოწყალე იყო, დანაშაული შეუნდო, ზღვამ მადლობა გადაუხადა და დიდი ხარკი თავს იდვა. კასპიის ზღვა თამარს ხარკად ყოველ-წლივ აძლევდა დიდ ძალ ოქროსა, ვერცხლსა, გიშერსა, მარგალიტ-იაგუნდსა და ცხენ-კამბეჩს. ამის შემდეგ თამარი მოსვენებით იყო თავის ტახტზე და განაგებდა მთელს ქვეყანას, მაღრუბიდგან მაშრუყამდის.

ეს ლეგენდა უნებლიედ მაგონებს ხალხშივე დარჩენილ ამ გვარსავე ლეგენდას ალექსანდრე მაკედონელზე.

აი ეს ლეგენდაც.

II

ალექსანდრე მაკედონელმა მთელი ქვეყანა დაიპყრო: აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი. დაუპყრობელი დარჩა მარტო ერთი ზღვა. ეს ზღვა შავი ზღვა იყო. ერთ დღეს ძლიერის ჯარით ალექსანდრე ამ ზღვასაც მოადგა და დამორჩილება შეუთვალა. მაგრამ ზღვამ წარბიც არ შეიხარა. ალექსანდრე სიბრაზისაგან გაცეცხლდა და თავის ლაშქარს უბრძანა, შავი ზღვა ნავთით გაევსოთ, ზედ თივა მოეფინათ და ცეცხლი მოეკიდებინათ. დაუხანებლივ შეასრულეს ხელმწიფის ბრძანება. შავი ზღვა კიდით-კიდემდე გადაიქცა ერთ დიდ თორედ. შესწუხდნენ შავის ზღვის მკვიდრნი და მეფის მოციქულად ერთი ცადა კაცი გაუგზავნეს და მოახსენეს: დიდო ხელმწიფევ, რას გვემართლები, დაგვეხსენ და დიდს ხარკს მოგცემთო.

— რას მომცემთ, ბრძანა ალექსანდრემ.

— ცადა კაცმა ხორბლის სამი მარცვალი მიართვა და უთხრა: „ეს არის ჩვენი ხარკი. თუ პირველ მარცვალს მიირთმევ, ახალგაზდა ჭაბუკად იქცევი, თუ მეორეს—დიდი ბრძენი იქნები, თუ მესამეს—ყოველის ავადმყოფობის წამალი გეცოდინება და ამასთანავე შენის სიკვდილის დღეცაო.

ალექსანდრემ ხარკი არ იცოტავა. სამი მარცვალი ცადა კაცს გამოართვა, ცეცხლი ჩააქრო და თავის სამეფოში დაბრუნდა.

გაიდა კარგა ხანი, ალექსანდრე კიდეც მოხუცდა. ერთ დღეს მოაგონდა ის სამი მარცვალი და სთქვა: „აბა ვცდი, რა ღირსებისაც არის შავის ზღვის მოცემული ხარკიო". სტუმრად მიიწვია დიდ-ძალი ხალხი. ის სამი მარცვალი-კი თავის ხაბაზს გადასცა და უთხრა: „სამი კარგი ქადა გამოაცხეო". სტუმრები შეიყარნენ. როცა კარგად სვეს და სჭამეს, ალექსანდრემ ქადები მოიკითხა, ყველანი უნდა გაეკვირვებინა სასწაულით. მიირთვა ერთი ქადა და ცვლილება არა დაეტყო-რა, მეორეც ჭამა, მაინც არა შეემჩნია-რა. მესამე ქადამაც ალექსანდრე ვერ გადაახალისა. ალექსანდრემ მუცელი გაიძლო ქადებით, მაგრამ ვერც ახალგაზდა გახდა, ვერც ბრძენი და ვერც ექიმი. გაუკვირდა და დანაღვლიანდა. იფიქრა, ალბად ზღვამ მომატყუაო.

სტუმრები რომ წავიდ-წამოვიდნენ, დაიბარა ხაბაზი და ჰკითხა:

მონავ, მართალი მითხარ, ქადები სწორედ იმ მარცვლებისა გამომიცხე, რომელიც მე შენ მოგეციო?

გულ-უბრყვილო მონა-ხაბაზმა ყოველივე აღიარა მეფის წინაშე და ასე მოუთხრო ქადების ამბავი:

— სამის მარცვლის ქადა რომ გამოვაცხე, ნაცარში ჩამიცვივდა. აბა ამისთანა პურებს როგორ გაკადრებდი, ხელმწიფეო. იმათ მაგიერ სხვები გამოვაცხე. წინანდელები კი ერთ საწყალს ბებერ გლახას მივეცი შენ სადღეგრძელოდ.

შესწუხდა ალექსანდრე. უბრძანა შეეყარათ იმის სახელმწიფოს ყველა გლახები. ყველანი რომ მივიდნენ, ხაბაზს უბრძანა, აბა იცანი ის კაცი, რომელსაც ქადები გადაეციო. ბევრი ათვალიერა ხაბაზმა, მაგრამ ვერც ერთს ხელი ვერ დაადო. მაშინ ალექსანდრემ იქ შეკრებილ გლახებს ჰკითხა:

— სხვა გლახა ხომ არავინ დარჩენილა მოუსვლელიო.

— როგორ არა, ბატონო, შეჰღაღადეს ერთ ხმად გლახებმა: ამა-და-ამ სოფელში ერთი მოხუცი გლახა იყო. ძლივს დადიოდა. მაგრამ ამ ბოლოს დროს რაღაც სასწაულის გამო უცებ სრულიად ახალგაზდა შეიქნა და ამასთანავე დიდი ბრძენი და ექიმიცაო.

ალექსანდრემ მოაყვანინა და თავის შინაურ ექიმბაშად გაამწესა. გავიდა კარგა ხანი და ალექსანდრემ ჰკითხა:

— რა დღეს მოვკვდებიო?

— იმ დღეს, რა დღესაც ცა და დედამიწა სპილენძად იქცევაო, უპასუხა გლახად ნამყოფმა ექიმმა.

ამის შემდეგ კარგა ხანი გავიდა. ალექსანდრე ავად გახდა და თავის სპილენძის აშენებულ დარბაზში სპილენძის ტახტზე დაწვა. ფიქრმა გაიტაცა, აიხედა ზევით და სპილენძის ჭერი სპილენძის ცად მოეჩვენა, დაიხედა ქვეით, და სპილენძის იატაკი სპილენძის დედამიწად დასახა. ამიოხრა და სთქვა:

— ახლა-კი მოვიდა ჩემის აღსასრულის ჟამიო.

მართლაც იმავე დღეს სული განუტევა *)

ესომ

*) ეს ლეგენდები ამ სამის წლის წინად საინგილოში ჩავწერე გ. ჯანაშვილის პირით. ხოლო დღეს ესევე ლეგენდები, ცოტა გადასხვაფერებულად და უფრო-კი ვრცლად დაბეჭდილია ახლად დასტამბულს წიგნში „Сборникъ матер. для описан мѣстн. и племенъ Кавказа". პირველი ლეგენდა ჩაუწერია სამეგრელოს სოფ. ამკოლოში ბ-ნ ნ. ჯანაშიას, ხოლო მეორე ბ-ნ პ. პრიხნის გორის მაზრის სოფ. კიცნისში.

სულთა ნაშრომ ნაღვაწი. სამწუხაროდ, ჯერაც არა გვაქვს ჩვენის მწერლების სრული თხზულებათა კრებულნი. ეს გარემოება დიდად უშლის ხელს, როგორც საზოგადოებას, რომელსაც ღონე და საშუალება არა აქვს, რომ ერთად გადიკითხოს მწერლის ყველა ნაწერები და უტყუარი აზრი იქონიოს რომელისამე მწერლის შესახებ, აგრეთვე კრიტიკას. რასაკვირველია, მწერლების თხზულებათა სრული კრება კრიტიკას ვერ შექმნის, მაგრამ ხელს კი დიდად შეუწყობს.

ჩვენ ჩვენის მხრით სულით და გულით ვისურვებთ, ახლად დაარსებულის „წიგნის მბეჭდველ ქართველთა ამხანაგობის" გაძლიერებას, რომ შეიძლოს პირ ნათლად აასრულოს თვისი დანიშნულება და თუ პირველში არა, შემდეგ მაინც, როცა იმატებს მისი ძალ-ღონე, გვაჩუქოს ჩვენის მწერლების ნაწერთა სრული კრებულნი, რომლის უქონლობაც ასე აუფერულებს ჩვენს უიმისოდაც უფერულს ცხოვრებას.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მოგვივიდა ბ-ნ გრ. ჩარკვიანის მიერ დაბეჭდილი პატარა პოემა „წყალობა", თხზ. ან. ფურცელაძისა. პოემა ისტორიულის შინაარსისაა და შეეხება იმ დროს, როცა ოსმალნი ბატონობდნენ ქართლ-კახეთში და როცა თუშ-ფშავ-ხევსურთ მამაცობის წყალობით მტერი განდევნილ იქმნა ჩვენის ქვეყნიდამ. ავტორი ამბობს ცალკე შენიშვნაში, რომ ამ ამბავს თუშ-ფშავ-ხევსურეთში სხვა-და-სხვა გვარად მოგვითხრობენო, ხოლო მე გავლექსე ისე, როგორც მიამბო ერთმა თუშ-ფშავ-ხევსურეთში დიდხანს ნამყოფმა ქართლელმა კაცმა, სახელდობრ პეტრე მესხმაო.

*** ისტორიულივეა შინაარსი აკაკის ახალის პოემისაც „კიკოლას ნაამბობი", რომელიც ამ დღეებშივე დაიბეჭდა, როგორც თავის დროზე ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს. აკაკის ახალს პოემაში მოთხრობილია, როგორ დაეცა ტფილისს აღა-მაჰმად-ხანი, როგორ მოსწვა და აოხრა ქალაქი, რა შემწეობა აღმოუჩინა მეფე-ერეკლეს იმერეთის მხედრობამ და რა საძრახისი საქმე ჩაიდინა ამ დროს სოლომონ-მეფის სახლთ ხუცესმა ზურაბ წერეთელმა. ლექსი აკაკისა ამ პოემაშიც ჩვეულებისამებრ ფრიად შნოიანი და ლამაზი, მეტად ადვილი გასაგონი და მოსასმენელია.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ იქით კვირია გამოვა მე 16 ნომერი გაზ. „თეატრისა", რომელიც აგერ თთვე სრულდება, შეჩერებულია. შემდეგ გაზეთი დაუბრკოლებლივ დაიბეჭდება თავ თავის დროზედ, ხოლო მიზეზი იმისი, თუ ამდენს ხანს რად შესწყდა ბეჭდვა გაზეთისა, დაწვრილებით იქმნება ნაამბობი ზემოხსენებულსავე მე-16 ნომერშიო.

*** ჩვენ მივიღეთ დეკანოზის პეტრე ყონჩიევისა და მის მეუღლის მართა დიმიტრის ასულისაგან 30 მან. აქედამ 15 მან. დ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ, 10 მან. წინამძღვრიანთ-კარის სკოლისათვის და 5 მან. თილვის ტაძრის განსაახლებლად. დ. ბაქრაძის ფონდი იყო დღემდე 729 მან. 72 კაპ. შესდგა ამიანად 734 მან. 72 კაპ.

*** წელს სასულიერო სემინარიაში ეგზამენები დაიწყო 1 მაისს და გათავდა 2 ივნისს. კვირას, 3 ივნისს, წირვის შემდეგ, რექტორმა პარაკლისი გადაიხადა, სიტყვა წარმოსთქვა და გამოეთხოვა ახლად სწავლა-დამთავრებულს შეგირდებს. აი სხვათა შორის რა სთქვა რექტორმა: „ასრულდა თქვენი ნატვრა! დიდის ხნის ლოდინს შემდეგ გაათავეთ სწავლა და მიაღწიეთ თქვენს გულის-წადილს. ამიერიდგან თავი უნდა დაანებოთ სასწავლებელს და ვინ იცის, ვინ სად წახვიდეთ და ან რა მანძილით უნდა დაშორდეთ ერთმანეთს ექვსის წლის ერთად ყოფნის შემდეგ? ვინ იცის, შეხვდებით-ღა კიდევ ასე ერთად ერთმანეთს? მოიგონეთ, ეს არის თქვენი უკანასკნელი და ერთად ერთი წამი თქვენის ერთად ყოფნისა, რომელსაც სიამოვნებით უნდა მოიგონებდეთ ხოლმე. მეც ჩემის მხრივ მაღელვებს და გულს მიკლავს თქვენი დაშორება: თითქო რაღაცა საკუთარი და მშობლიური აკლდებოდეს ამ ჩემს გულსაო. ვიცი, რამდენიმე თქვენგანი წავა მღვდლად, თუმცა უფრო დიდად სასიამოვნო იქნებოდა, რომ მომეტებულს თქვენგანს ეკისრნა ეს ღვთიური სამსახური. მაგრამ, რაც უნდა იყოს, თუნდ სხვა სამსახურშიაც შეხვიდეთ, კარგად იცოდეთ, რომ ყველგან გმართებთ ღვთის ლოცვა და შველა. ვისურვებ, რომ ღვთის მოშიშნი და მოყვარულნი იყვნეთ. ამას შემდეგ დაარიგა, თუ როგორ უნდა მოიქცეთ და როგორ ევლოთ ამ წუთი-სოფელს ბნელსა და ეკლიანს გზაზედაო. შეგირდებმა მადლობა გადუხადეს. შეგირდებმავე გადაცეს სურათი ბ-ნ როინაშვილთან თავიანთის რექტორითა და მასწავლებლებითურთ სწავლის შესრულების დროს სახსოვრად.

*** წელს სემინარიაში სულ 38 შეგირდმა შეასრულა სწავლა. ამათში 31 ქართველია, 5 რუსი და 2 ბერძენი. ორი იგზავნება აკადემიაში: მ. კელენჯერიძე კიევში და ი. ბობოხიძე მოსკოვში. მოგვყავს სია სწავლა-შესრულებულთა: მ. კელენჯერიძე, ს. ლოლაძე, ი. ბობოხიძე, ი. კობახიძე, ს. თათარიშვილი, მ. გორდეზიანი, ა. ივანოვი, მ. მირიანიშვილი, გ. კიკნაძე, ა. კალანდარაშვილი, დ. უსტიაშვილი, მ. ივანოვი, ლ. ბალუევი, გ. მაჩხანელი, ვ. დადიანიძე, ფ. მახარაძე, თ. დუღლაძე, ს. მიქაძე, ნ. ჟორდანია, ა. გოდერძიშვილი, მ კარპოვიჩი, პ. ელბაქიძე, ს. სკვარცოვი, კ. მაღრაძე, კ. ჭანტურაია, კ. ხოფერია, ტ. კიკვაძე, ი. ქევხიშვილი, ა. ზლატორუნსკი, ნ. ფეოდოროვ, ა. მომფორია, ლ. გძელიშვილი, ა. თებზაძე, გ. ტყეშელაშვილი, გ. იმნაიშვილი, ფ. ვეფხვაძე, კ. რუსიევი და ა. მახროვსკი.

*** ფოთი: ფოთელებსაც გვეწვივნენ ტფილისის ქართულ თეატრის არტისტები, რომელთაც სამი წარმოდგენა გამართეს აქაურს კლუბის დარბაზში. პირველს და მეორე წარმოდგენას საზოგადოება ბლომად ესწრებოდა, ხოლო მესამეს, რომელიც კვირას, 3 მაისს, იყო გამართული, იმდენი ხალხი მოგროვდა, რომ დარბაზში ტევა აღარ იყო; ბევრი დაბრუნდა უკან უადგილობის გამო. ისე მოეწონა საზოგადოებას წარმოდგენები, რომ თეატრის შემდეგ სახლში დაბრუნებას ვერ ახერხებდნენ; ტაშის კვრას და ბრავოს ძახილს ხომ საზღვარი არა ჰქონდა. არტისტები 4 ივნისს ბათუმს გაემგზავრნენ, სადაც გამართავენ ორს წარმოდგენას და მერე დაბრუნდებიან ტფილისს.

*** იქიდამვე: ამ ორის კვირის წინად აქაურს ბულვარზე ჩხუბი მოუვიდათ ბ-ნ ოდინეცს, აქაურის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსს, და არაყის ზავოდის პატრონს ბ-ნს მენდელს. აი საქმე როგორ იყო: მენდელი დასეირნობდა ბულვარში; ამ დროს წინ შეეჩება ოდინეცი, რომელმაც ორჯელ შემოჰკრა მენდელს სილა სახეში. მოთმინებიდგან გამოსულმა მენდელმა დაჰკრა ჯოხი ოდინეცს თავში და სისხლი გადმოადინა. მიზეზი ამ ჩხუბისა დაბეჯითებით არავინ იცის. ეხლა ხმა გავრცელდა, რომ მოჩხუბართ ერთმანეთს შეუნდეს დანაშაული და ისევ შერიგდნენო.

*** ფოთიდამვე: იმ დეპეშამ, რომელიც ორ მაისს მივიღეთ სავაჭრო პორტის ბათუმიდგან ფოთში გადმოტანის შესახებ, ძლიერ გაგვახარა ფოთელები. მას შემდეგ აგერ ერთი თთვე გავიდა, მაგრამ არაფერი აღარა ისმის-რა ფოთის შესახებ. ზოგნი კიდეც ამბობენ, იმ დეპეშის ამბავი მართალი არ იყოო. ამ მითქმა-მოთქმამ ძლიერ დაგვაღონა.

*** ქართლი: 26 მაისს, ესე საღამოს 6 საათზედ, სოფელ მღებრიანის მცხოვრებელმა საბა ფიდოს ძემ გოგიჩაშვილმა დაინახა შორიდამ სოფელ თამას მცხოვრებელი ზაქარია გოგიჩაშვილი, რომელიც იმის ცხვარს მიერეკებოდა ღელეში ნათესებიდამ, ჩაჰყვა იქ და ხანჯლით დასჭრა სასიკვდილოდ მარცხენა ფერდში. ზაქარია გოგიჩაშვილმა მეორე დღესვე სული განუტევა.

*** ივნისის 6, პოლიციის მეცხრე ნაწილში, ტფილისის მცხოვრებელს მეორე გილდის ვაჭარს წყალობა იოსების ძეს ხითაროვს, რომელიც მუხრანის ქუჩაზე სცხოვრობს ულიაპოვის სახლში, იმისმავე მზარეულმა დუშეთის მაზრის სოფ. შუახევის მცხოვრებელმა პეტრე ძებაშვილმა მოჰპარა ხუთი ვერცხლის სტოლის კოვზი, ღირებული 35 მან. დამნაშავე შეიპყრეს, ოქმი შეუდგინეს და სასამართლოს გადასცეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

მცხეთა, 5 ივნისს. 5 ივნისს დანიშნული იყო ეგზამენი მცხეთის დედათა მონასტრის დედათავე სასწავლებელში. ეგზამენის დაწყებამდე აქეთ გზად გამოიარა მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ არხიეპისკოპოსმა პალადიმ, რომელსაც აქამდის მოაცილეს ყოვლად უსამღვდელოესთა ეპისკოპოსთა: ალექსანდრემა და გრიგოლმა. მრავალთა არხიმანდრიტთა, მღვდელთა, პროკურორმა „სინოდალნი კანტორისამ" და სხვათა. არქიეპისკოპოსმა პალადიმ დაათვალიერა დედათა მონასტერი, მონასტრის სასწავლებლის ეგზამენზე დასწრება დაავალა ეპისკოპოსს ალექსანდრეს და თითონ გაემგზავრა რუსეთისაკენ.

დიდი ხანი არ არის, რაც მცხეთის დედათა მონასტერში სასწავლებელი დაარსეს. აქ პირველად სწავლა დაიწყო წარსულის წლის ოქტომბრიდამ. ამ წლის განმავლობაში სწავლობდა 28 ქალი. ამათში 7 პირველ ნორმალურს კლასში იყვნენ და დანარჩენნი მოსამზადებელს კლასებში. არავის ეგონა, თუ ასე ცოტა ხნის სწავლებით მოსწავლენი შეისწავლიდნენ რასმე, მაგრამ ეგზამენმა წინააღმდეგი აღმოაჩინა. მოსწავლეთ ეტყობოდათ კარგი ცოდნა და შესაფერი განვითარება: მკაფიოდ კითხულობდნენ რუსულად და ქართულად და შვენივრად ამბობდნენ წაკითხულის შინაარსს. არა მგონია თუ სადმე ტფილისის სასწავლებლების ამისთანავე კლასებში ისე იყოს წარმოებული ქართულის ენის სწავლება, როგორც მცხეთის საქალებო სასწავლებელში ყოფილა. ერთი-ორი რუსის ქალი სწავლობს აქა და ისინიც-კი შვენივრად კითხულობენ და სწერენ ქართულად. ზეპირად ლექსებს თითქმის ხელოვნურად კითხულობდნენ: ნამეტნავად კარგად წაიკითხეს დეკანოზიშვილის ქალმა „სამშობლო ხევსურისა", ციციშვილის ქალმა „ვაზის ჭირიმე, ვაზისა" და ღლაშაურის ქალმა „გუთანი"—რ. ერისთავისა.

მოსწავლენი უფრო სუსტობდნენ არითმეტიკაში და გეოგრაფიაში.

ეგზამენის გათავების შემდეგ იქ დამსწრეთ: ყოვლად-უსამღვდელოესთა ეპისკოპოსმა ალექსანდრემა და გრიგოლმა, არხიმანდრიტებმა, პროკურორმა, ტფილისის ზოგიერთმა მღვდლებმა და მოსწავლეთა ნათესავებმა გასინჯეს შეგირდების ნაწერები და ხელ საქმენი. თითქმის ყველანი აღტაცებაში მოდიოდნენ ქართულის წერის მონასტრულის რიგიანის ხელითა.

მადლობის ღირსნი არიან ქართულისა და რუსულის ენის მასწავლებელი ქალნი სოფიო დავითის ასული ციციშვილი და ანნა გიორგის ასული კოლიევი, რომელთაც თითქმის უსასყიდლოდ მიუღიათ შრომა და მცირე ხნის განმავლობაში ასე კარგად მოუმზადებიათ მოსწავლენი. წასვლის დროს, როგორც შევიტყე, მის ყოვლად-უსამღვდელოესობას ეპისკოპოს გრიგოლს ეს ორივე მასწავლებელი ქალი დაუჯილდოებია ათის თუმნით.

დასასრულ ვიტყვი, რომ კარგი იქნება არითმეტიკისა და გეოგრაფიის მასწავლებლობაც ამ ზემოხსენებულ ქალებს აკისრებინონ, ან კიდევ ამ საგნებისათვის ცალკე მასწავლებელი დანიშნონ, რათა სწავლების საქმე სრულიად კარგად წავიდეს ამ სასწავლებელში. მასწავლებლის მიმატება მით უფრო საჭირო იქნება, რომ შემდეგის წლიდგან მეორე ნორმალური კლასიც მიემატება და მარტო ამათთვის ძლიერ საძნელო იქნება სწავლება.

ლ. მ.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გამოუცხადო ჭრაპერჩიკს ჯამულეთ სვიმონის ძეს ბაქუთაიშვილს, რომელმაც აჩუქა რწმუნებულ ჩემდა სკოლის მოსწავლეებს ოცდა თერთმეტი (31) ცალი წიგნისა: „სკოლა და ოჯახი", გამ. გ. ბურჭულაძის ფიერ, და შემდეგისთვისაც დაჰპირდა შემწეობას წიგნებით, თუ სხვა სასწავლო ნივთებით. დარწმუნებული ვარ, ბ-ნი ბაქუნაიშვილი აასრულებს თავის აღთქმას, არ მოაკლებს თავის ყურადღებას და თანაგრძნობას სკოლას და თავის მაგალითით და ქველ-მოქმედებით მრავალს სხვებსაც წააქეზებს.

აკეთის სკოლის მასწავლებელი
ლ. ჩიმაკაძე

გურია

## საისტორიო მასალა.

სოფელს აკეთში ესრედ წოდებულს „ტახტის გორზედ", არის გამოჭიმული ორი ძველი შენობა. ერთი ამათგანი ეკკლესიაა და მეორე პალატი. ჩემს გულს დიდის ხნით იზიდავდა ეს შენობები, რომ შემეხა თვალით ეს ძველთა ნაშთები და აი ძლივს შევიქენ ღირსი დამეთვალიერებინა. მართლა და მშვენიერი მაღალი ადგილი ყოფილა; მნახველს ეგონება, რომ საგანგებოდ შეუქმნია კაცის ხელს ეს გორაო. გავეშურე მაშინვე ეკკლესიისაკენ, რომელიც იოანე ნათლის მცემლის სახელობაზეა აშენებული. ამ ეკკლესიას სამხრეთის მხრივ კარგად მოზდილი და თალ-შეკრული შენობა აქვს მიდგმული სამრეკლოთურთ, სულ ძველებურის სქელის აგურით ნაგები. ეს სამრეკლო შუამთის მონასტრის სამრეკლოს უფრო მიემსგავსება. სვეტებს შუა-კი შემდეგ ამოუშენებიათ, ეტყობა, მტრის შიშის გამო. ეკკლესიას შესავალი კარებიც ამ მხრიდგანვე აქვს. შევედ თუ არა ეკკლესიაში, ჩემს თვალებს წარმოუდგა კიდევ კარგად შერჩენილი მხატვრობა. ეკკლესია მთლად მოხატული და ალებასტრით ნალესი ყოფილა, ოთხს ოთხ-კუთხიან სვეტზედ არის დამყარებული, მაგრამ სამხრეთის მხარე მთლად დაზარალებულა, არც მხატვრობა ეტყობა და არც ნალესობა. ქვითკირის კანკელი მთელია. ამას ერთი აღსავლის კარები აქვს და ერთიც ჩრდილოეთისა, ტრაპეზი ქვითკირის კედელზეა მიდგმული და ზემოდ ერთი მოგრძო სარკმელი აქვს. ტრაპეზის მარცხნივ მოხატულია კედელი და კაცის ტანის ოდნად დახატულნი არიან წმინდანი მამანი: დიონისე არეოპაგიელი, ნიკოლოოზი, გრიგოლ და იოანე ოქროპირი; მარჯვენა მხარივაც ეტყობა მხატვრობა, მაგრამ წარწერები გადასულია. ამ მხატვრობის შუა ტრაპეზის პირდაპირ ბარძიმ ფეშხუმია, საკურთხევლის ცაში მთლად დახატულია ღვთის-მშობელი, ხელგაპყრობილი, მჯდომარე ტახტზედ, და დაუსაბამო ძე უზის კალთაში, მარჯვნივ და მარცხნივაც ორი სახე არის მთელის ტანისა, მაგრამ წარწერა ვერ გავარჩიე, რადგან არაფერი საშუალება არა მქონდა, სარკმლის გვერდზედ მარჯვნივაცა და მარცხნივაც გამოხატულია იესო ქრისტე და თორმეტი მოციქული, მარჯვნივ პირველ მოციქულს აზიარებს ბარძიმიდგან და მარცხნივ პეტრე მოციქულს გაუპყრია ერთმანეთზედ დაწყობილი ორივე ხელი, ქრისტე აძლევს ტარიგის ნაწილიდგან. კანკელზედ მხატვრობა კიდევ კარგად არის შერჩენილი. თუმცა მაცხოვრისა და ღვთის მშობლის სახეები აღარ ეტყობა, რომლებიც შეადგენენ უმთავრესს საჭიროებას კანკელისას, მაგრამ მეორე რიგობაში გაბმით არის დახატული თექვსმეტი წმინდანი, და სახელები წარწერისა ან მტვრისაგან არა სჩანდა და ან გადასული ჰქონდა. მარცხენა წინა სვეტზედ გამო-

ხატულნი არიან წმინდანი მამანი: ანტონი, დიმიტრი და საბა. ამათ მარჯვნივ ხელი სულ დაჩეხილი აქვთ ხანჯლისაგან, პირი-სახეები და თვალები ამოთხრილი. მეორე მარცხენა სვეტზედ დახატულნი არიან: ევთიმე, მთავარმოწამე გიორგი და მაკარი. სვეტების ცებზედ დახატულები არიან: არტემი, ვიკენტი, კოზმან და დამიანე. დასავლეთის კედელზედ ძირს დახატულნი არიან: წმ. ნინო, ამის გვერდზედ დედოფლის სახე უნდა იყოს, არაფერი არ ეტყობა, ლეონ, კონსტანტინე და ელენე. ლეონსა და იმ დედოფალს ხელში ეკკლესია უჭირავთ. ამათ ზემოდ ღვთის-მშობლის მიძინებაა დახატული. მაღლა კედლებზედ თუმცა-კი სურათები ეტყობა, მაგრამ წარწერები არა ჩანს, მშვენიერ სურათს წარმოუდგენს კაცის თვალს ლაზარეს საფლავით აღდგინება. ადამიანს ეგონება, გუშინ დაუხატნიათო. აქვეა სხვა სურათებიც, რომელნიც მოაგონებენ იოანეს გამოცხადების სიმბოლოებს. თითონ ეკკლესიას სამხრეთისაკენ ერთი მომცრო ფანჯარა აქვს დატანებული და ჩრდილოეთით—ორი. ორი საკურთხევლის აქეთ-იქით არის, თითო პატარა ფანჯრით, საკურთხევლიდგან-კი გასავალი არ არის. გარედგან ჩრდილოეთის მხრივ ზედ ეკკლესიის ძირზედ დიდრონი ქვევრებია ჩაყრილი, ზოგი წყლით სავსე და ზოგი ქვებით ნახევრად ამოვსებული. თითონ ეკკლესიაზედ ხეები არის ამოსული, სახურავი სრულებით აღარ ეტყობა და არც გუმბათი სდგმია ზედ. საუბედუროდ, ძროხა უტარებიათ აქა და შიგ რომ ვიყავით და კარები ღია ნახეს, შემოსვლას აპირობდნენ, მაგრამ ნება არ მივეცით და მეძროხეს ურჩიეთ, კვლავ აღარ მიეშვა ეკკლესიის ახლო საქონელი. დღესასწაულობა ამ ტაძრისა თუშთ აღდგომის მეორე დღესა სცოდნიათ. მეორე შენობა-კი რამდენსამე საჟენზედ მოუძევს სამხრეთისაკენ და რამდენისამე საჟენის სიგრძის თალიც მთლად დარჩენილა. სიგრძე თითქმის ოც და ათი ნაბიჯი გამოვიდა გარეთ პირიდგან.

აქვე ნებას ვითხოვ მოვიყვანო ერთი ამბავი თუშების ზნე-ჩვეულებისა დასაფლავების დროს. თუშებში ჩვეულებად ყოფილა, თუ ქალს ქმარი მოუკვდება, ის-კი არ სტირის და ვერც არავინ შეატყობს, რომ იმისი ქმარი მომკვდარა, სტირიან სხვანი მეზობელნი და ნათესავნი, რადგანაც სირცხვილად მიაჩნიათ ცოლის მხრით ტირილი. როდესაც მიცვალებული გამოასვენეს სახლიდგან ეკკლესიაში, თან მოსდევდნენ ქალები და კაცნი ჩუმად. ცოლს ხელით მოჰყავდა შეკაზმული ცხენი თავის ქმრისა და ეს იყო ნიშანი, რომ ის მიცვალებულის ცოლია. როდესაც ანდერძი შეუსრულდა, კიდევ ჩვეულებისამებრ მოჰყვნენ ტირილს. ერთი ქალი მოსთქვამდა და სხვანი ქვითინებდნენ. ამ ტირილის დროს თან-და თან ყველა მხრიდგან მოდიოდნენ ხურჯინ-აკიდებული ქალები, რომლებიც ხურჯინებს ცალკე აწყობდნენ და სცრემლობდნენ. მაინც ხელიდგან ცხენი არ გაუშვია ცოლს. ვიდრე მიცვალებულს საფლავში ჩაასვენებდნენ, ორჯელ კიდევ იცვალეს ბინა ქალებმა, ასე რომ თან საფლავისაკენ იწევდნენ და ისე უყურებდნენ მომტირალნი დასხდომილნი: აქ მე ძალიან უნებურად მომაგონდა სახარების სიტყვები, სადაც ნათქვამია, რომ დედანი შორით უმზერდნენ, სადა დასდებდეს მას (იესოს). ქალებს რომ ხურჯინები ჰქონდათ აკიდებული, იმათივე საგძალი ყოფილიყო. საზოგადოდ ვინ ხმიადი, ვინ ფურნის პური, ყველი და სხვა, რაც ეგულვებოდათ, ამოიღეს ხურჯინიდგან და ერთს ადგილს დააწყეს. ქალებმა თავიანთი ხურჯინები გარეშემოიწყეს და დასხდნენ სადილზედ. ერთმა ხნიერმა მოხუცმა აიკიდა დაჭრილის ხმიადებით სავსე ხურჯინი და ჩამოურიგა ქალებს. სადილი საერთო ჰქონდათ. აიშალნენ ქალნი და მღვინე ქალები, რომლებიც წინათაც ასმევდნენ ღვინოს, აცილებდნენ ეზოს კარებამდის და ზოგს აქ და ზოგსაც ეზოს გარეთ კიდევ ასმევდნენ ღვინოს. ხარჯი ძალიან დიდი სცოდნიათ დასაფლავების დროს, მაგრამ უფრო ბლომად და შეუწყვეტლივ უხარჯნიათ ღვინო, ამ მხრით ძალიან ძვირად დაუჯდებოდათ ამ სიძვირის დროს.

მღვ. მიხ. ხელაშვილი

◆◆

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. „С.-Петербургскія Вѣдомости"-ში იბეჭდება ფრიად საყურადღებო წერილი „გენერალის ჩენგ-კი-ტონგისა" შემდეგის სათაურით: „ჩინელები თავისს სახლში". მეოთხე წერილში ავტორი ჩინელ სტუდენტებს შეეხება და აი, სხვათა შორის, რას ამბობს:

როცა ბავშვი ხუთი-ექვსის წლისა შეიქმნება, მშობლები, რა შეძლების პატრონნიც უნდა იყვნენ, იმის ზრუნვას შეუდგებიან ხოლმე, რომ მასწავლებელი უშოვონ. თუმცა უსწავლელის სწავლება ჩინეთში სავალდებულო არ არის, მაინც ერთს ბავშვსაც არ ვიცნობ, რომ სასწავლებელში არ დადიოდეს. რასა თქმა უნდა, ზოგნი დიდ ხანს რჩებიან სასწავლებელში, ზოგნი მცირე ხანს, ეს მშობლების შეძლებასა და ყმაწვილის უნარზედ არის დამოკიდებული.

სწავლულის ხარისხის მიღების მსურველნი ყოველ წლივ საპრეფექტოში უნდა წარსდგნენ და დაიჭირონ ეგზამენი პირველის ხარისხისა ბაკალავრისა. ამ ცდას ესწრება აგრეთვე თვით იმპერატორის მიერ დანიშნული მოთვალ-ყური. მეორე ხარისხის ეგზამენი, კანდიდატობის ხარისხისა, სამ წელიწადში ერთხელ არის ხოლმე, ისევე, როგორც მესამე და უკანასკნელ ხარისხისა, ხოლო ორი უკანასკნელი ერთსა და იმავე წელიწადს და ადგილს არ იციან. მეორე გამოცდა არის ხოლმე ყოველ პროვინციის დედა ქალაქში შემოდგომობით და მესამე—პეკინში მეორე გაზაფხულზედ. ხანდახან მოხდება ხოლმე, რომ ყმაწვილი კაცი, რომელმაც სამივე ეგზამენი გაათავა, დიდის ამბითა ჰბრუნდება სამშობლოში, სადაც იმისი მშობლები დიდის სიღარიბითა სცხოვრობენ. ჩინეთში სწავლისა და ეგზამენის დაჭერის ნება ყველასა აქვს, იმათ გარდა, რომელნიც სამარცხვინო ხელობას ადგანან რასმე. მუშა კაცის, ან ხელოსანის ოჯახი, რომელსაც-კი ვაჟიშვილი ჰყავს ეგზამენ-დამთავრებული, კეთილშობილ ოჯახად შეიქმნება ხოლმე და მშობლებსა ისეთისავე პატივისცემით ეპყრობიან, როგორც შვილს.

დიდი ბედნიერებაა მთელით ნასწავლთა და ეგზამენში გამარჯვებულთ.

გამოაცხადებენ თუ არა იმათ გვარს, მთავრობის მოხელეები დიდის ამბით დაუვლიან ამ რჩეულთ, მიუტანენ მოწმობას, დიდს წითელს ქაღალდზედ დაბეჭდილს, და იმას სახლს მიაკრავენ. ამ მოხელეებს დიდის სიამოვნებით დაუხვდებიან. ხოლმე სანთლებს უნთებენ და საკმელს უკმევენ ზეცასა და მამა-პაპათ, რომ ამითი მადლობა გადაუხადონ ასეთის ბედნიერებისათვის. დაინიშნება დღე სადღესასწაულოდ და ამ დღესასწაულში მონაწილეობას იღებენ ყველა რჩეულნი. ბედნიერნი ოჯახობანი რიგ-რიგ დილიდგანვე სახლების მოწყობა-მოლაგებაში არიან და მიმლოცველებს უმასპინძლდებიან. თვით რჩეულნი საკაცეებით სადარბაზოდ დადიან. ამათ განსაკუთრებული ტანთ-საცმელი აცვიათ, მახლობელ ნათესავების ნაჩუქარი... ამათი ნახვა ბევრს აღუძრავს ხოლმე შურის გრძნობას, რამდენჯერ გამიგონია, რომ დედებს უთქვამთ თავისის შვილებისათვის: „იშრომეთ თქვენც კარგად და ასეთს პატივს ცემას ეღირსებითო!" ეგზამენში გამარჯვება ყოველ მხრივ გზას უხსნის და ხელს უმართავს ყმაწვილ კაცს. აქ მხოლოდ იმისი შიში აწუხებთ: ვაი თუ გამოცდის დროს თავი შევირცხვინოთ და წავიბორძიკოთო. რაკი ეგზამენს მშვიდობიანად გადარჩებიან, მერე-კი აღარა უჭირთრა. ნასწავლი უცოლო კაცი მაშინვე იპოვნის რამდენსამე შეძლებულს ოჯახს რომელნიც სიამოვნებით მიათხოვებენ თავის ქალიშვილებს. აშკარაა, რომ იმისთანა ქვეყანაში, სადაც სწავლა ერთბაშად ფეხზედ აყენებს და წელში ამაგრებს ნასწავლის ოჯახობას, განათლების მიღების სავალდებულოდ დაკანონება საჭირო აღარ არისო.

ოღონდაც, რომ საჭირო აღარ არის; საოცარია სწორედ ასეთი ამბავი ჩინეთში, მაშინ-როდესაც ზოგიერთგან ღარიბებს და მეუძლოთ არც-კი აქვთ ნება მიცემული. როგორც ჰხედავთ, ჩინელები, რომელნიც ევროპელებს სრულიად ნადირ და გაუნათლებელ ხალხად აქვთ წარმოდგენილი, ამ მხრით არაფერი ეკიჟინებათ და ამ მხრივ წინ გასწრებიათ კიდეც ზოგიერთ იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთაც თავისი თავი გაევროპიელებული, განათლების და ცივილიზაციის მამამთავარ სახელმწიფოდ მიაჩნიათ!...

◆◆

## ორი სიტყვა კონსტანისა

ერთი სიტყვა კონსტანმა სთქვა საფრანგეთის ქალაქების წარმომადგენელთა წინაშე, ხოლო მეორე წარმოსთქვა სარესპუბლიკო ბანკეტზე. ამ ორსავე სიტყვაში ცხადად იხატება, რა გზას ადგია საფრანგეთის მთავრობა თუ შინა და თუ გარედ, რა აზრი ასულდგმულებს და აცოცხლებს დღევანდელს რესპუბლიკას საფრანგეთისას. აი რა სთქვა შინაგან საქმეთა მინისტრმა, ამ ბულანჟეს შემმუსვრელმა კაცმა, თავის პირველს სიტყვაში: „პალატას ძალი და ღონე მიმართული აქვს სოციალურის საგნების გამოსარკვევად და განსაკუთრებულად. ჩვენ ვიცით, რა უფროა თქვენი საზრუნველი და საჩივლელი და ჩვენც სწორედ იმ თქვენთვის ტკივილს გვინდა მოვუძებნოთ წამალი. ჩვენ გვინდა მივეშველნეთ და შევეწიოთ ტანჯულთა და ჩვენს მუშა ხალხს მივცეთ უფრო უზრუნველი ცხოვრება და უფრო ტკბილი ლუკმა პური. თქვენ, ქალაქის წარმომადგენელნო, შეგიძლიანთ დაგვეხმაროთ: ეცადეთ შფოთება და ღელვა გულისა და გონებისა არ ასტყდეს თქვენს საგამგებლო უბანსა და თემშია, რათა ქვეყნის დამშვიდებულმა ყოფამ შეგვაძლებინოს ჩვენი განზრახვა უკეთ და უმალ შევასრულოთ. ჩვენ გვსურს დავამყაროთ კეთილი და ბრძნული რესპუბლიკა, ისეთი რესპუბლიკა, რომელიც ერთს ალაგას-კი არა სდგას დაბღუჯა კაცისავით, არამედ გამუდმებულს წარმატებაშია. ერთს ალაგას დგომა ისეთივე უკუღმართობაა, როგორც უკან-უკან სიარული. ის დემოკრატიები, რომელნიც სულ წინ არ მიდიან, იხოცებიან. ასეა თუ ისე, ჩვენ გვინდა რესპუბლიკა ბრძნული და წინ მოსიარულე და, მაშასადამე, არა ეთხოულობთ რესპუბლიკას, ჩინურის კედლებით გარშემოზღუდულს. ვისურვოთ, რომ ვინც მუდამ რესპუბლიკელი ყოფილა, იმან მისცეს სხვას ამისი მაგალითი და მიიღოს რესპუბლიკელთა შორის ახლად-მოქცეული თვისი მომხრენი. მაგრამ ახლად მორჯულებულთ დროშა-კი არ უნდა ვანდოთ, იმიტომ რომ დროშის დაცვა მუდამ იმისთანა კაცთა ხელში უნდა იყოს, რომელთაც ვენდობით და ათასგანა გვყავს ნაცადი. რაკი მართვა ქვეყნისა მტკიცე და ღრმად მორწმუნე კაცებს უნდა ჰქონდეთ მინდობილი, რესპუბლიკა თანხმაა გაუღოს კარი თვისი იმათაც, რომელნიც მუდამ რესპუბლიკელნი არა ყოფილან, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ დაუყოვნებლივ წარმოადგინონ საბუთი, მართლა გულწრფელობით მოიქცნენ და მორჯულდნენ თუ არა. ვისურვოთ, რომ ვისაც ახსოვს წინანდელი ძირს დაცემული და დათრგუნვილი მთავრობანი და სხვა-და-სხვა რეჟიმი, იმათ ისიც იცოდნენ, რომ ჩვენ მომხრენი არა ვართ მოუსვენარისა და ფაცაფუცის პოლიტიკისა. შეუძლიანთ მოვიდნენ და მოგვენდონ. ამასაც-კი ვეტყვი, რომ იმათი შველა ჩვენთვის აუცილებელი საჭიროება არ არის და, თუ წესიერება დაარღვიეს, მოვახერხებთ ძალა დავატანოთ პატივის ცემით მოექცნენ კანონს. მივმართავთ რა ყველას, ვისაც აქვს კეთილი სურვილი, ჩვენ გვახსოვს, რომ ყველანი შვილნი ვართ ერთის სამშობლოსი, არ გვინდა შფოთი და უთანხმოება იყოს ფრანგთა-შორის და ვეტანებით გაერთიანებას, რომელიც მხოლოდ სარესპუბლიკო დასის სასარგებლოდ შეიძლება იქმნას განხორციელებული".

მეტის ყურადღების ღირსია მეორე სიტყვა მინისტრის კონსტანისა: „დრო ბრძოლისა წავიდა. დადგა დრო მშვიდობის მოყვარეობისაო—დაიწყო კონსტანმა არასოდეს საფრანგეთი არა ყოფილა ასე დიდებული და ასე სავსე დოვლათითა და უხვებით, იმიტომაც რომ მისი მხედრობა, ძლიერი და გულადი, ნებას აძლევს ქვეყანას გულდამშვიდებით უპატრონოს თავის სამზღვრებს, და იმიტომაც, რომ მცურველია მშვიდობიანობისა, რომელიც არის უმთავრესი ძალი დემოკრატიისა და რომლის თანაც ჩვენ სხვა არა გვინდა-რა და არა გვწადიან-რა (დიდი ტაშის კვრა). რაც შეეხება იმათ, ვისაც სხვა რეჟიმი მიაჩნიათ თავის სათაყვანებელ კერპად, იმდენადვე ნაკლებ ვეცდებით, მოვაშოროთ თავიანთ სასურველს სარწმუნოებას, რამდენადაც თვით ისინი ნაკლებად შეიძლებენ, ჩვენ მოგვაშორონ ჩვენს სარწმუნოებას. მაგრამ ეს-კი უნდა ჰქმნან, რომ მოგვანდონ თვისი შვილნი და ასულნი, რომელთაც წარსული არა აქვთ ჯერ და თვალ-წინ მომავალი გადაშლიათ. მოგვანდონ და რამდენისამე წლის შემდეგ ისინი შეიქმნებიან მხოლოდ პატრიოტნი, თანაბრად მოყვარულნი საფრანგეთისაცა და რესპუბლიკისაცა". შემდეგ მინისტრმა სთქვა, რომ ეხლა იმათ უნდა მივაქციოთ ყურადღება, ვინც უფრო მრავალნი არიან და უფრო ღარიბნიო და მოაგონა ის თვისი პროექტი, რომელიც შეეხება დაბა-სოფლად სამოწყალო ბიუროების დაარსებასა. დასასრულ შეეხო იმ ცვლილებასა და რეფორმებს, რომელიც აზრადა აქვს მთავრობასა და რომლის მომზადებასა და თავდარიგში არიან მთავრობის წარმომადგენელნიო. როცა სიტყვა ჩამოვარდა საადგილ-მამულო ბანკის შესახებ, მინისტრმა სთქვა, რომ, იმედია, მაგ ბანკის მოპოვება შესაძლო იქნება, სამწუხაროდ, მხოლოდ კარგა ხნის შემდეგაო. დღეს-კი საჭიროა გაუადვილოთ მხვნელ-მთესველს, ისევე ადვილად და იაფად შეეძლოს იშოვოს ფული სესხად, როგორც ადვილად შოულობს ვაჭარი და მექარხნე მრეწველიო. საჭიროა აგრეთვეო,—განაგრძო ორატორმა, „რომ მოვახერხოთ და მივანიჭოთ უფლება მუშა კაცებს, ამ მოხელეებს შრომისას, ისევე ღონ პენსია სიბერესა და ავადმყოფობაში, როცა აღარ შეეძლებათ შრომით ლუკმა-პურის მოპოვება, როგორც სახელმწიფოს მოხელენი იღებენ დღესაო." სასურველია აგრეთვე, რომ უკეთესად იყოს განაწილებული ხარჯი და გადასახადი თითოეულთა შორის, მაგრამ, ჩემის აზრით, მაგის განხილვას ვერ დავავალებთ ამ ხანად კანონების შემომღებს კრებას, ანუ პალატას დეპუტატებისასაო, რადგან უმაგისოდაც მეტად ბევრი სხვა საჭირო საქმეები აქვს დანიშნული განსახილველადაო. „ვიმხნევოთ და ვიზრუნოთ ერთობილის ძალით ისეთის საგნების გასარკვევად და გადასაწყვეტად, რომელიც არ გვაცალკევებსო,—სთქვა ბოლოს კონსტანმა, ესე იგი მივაქციოთ ყურადღება საეკონომიო საგნებს და საგანს ერთურთის დახმარებისასა და შემწეობისასა (ტაშის-კვრა). დავიცვათ და დავიფაროთ ჩვენი წარმოება უცხოთა შორის შეცილებისა და ჯიბრისაგან (ტაშის კვრა). ნურც მარტო საპოლიტიკო რეფორმებს გამოვეკიდებით, თორემ მშვიდობით მაშინ საეკონომიო და სოციალურო რეფორმებოო. კარგად ვიცი, რომ ჩვენშიც არიან წინ მსვლელნი კაცნი, გულ-სწრაფნი, გონება-დაუდგრომელნი—თვითონ მეც იმათ რიცხვში ვიყავი, როცა მქონდა დრო ყმაწვილობისა და ახალგაზრდობისა,—მივყვეთ იმათ, იქნება ცოტა შორი-ახლო-კი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ წინაკაცნი, მოწინავე ჯარი, ანუ ავანგარდი მაშინ არის ძლიერი, როცა ზურგი აქვს საკმაოდ გამაგრებული.

◆◆

# დეპეშა

6 ივნისი

პეტერბურგი. „Гражд.“-ი იუწყება, რომ დამასკიდგან პეტერბურგს მიდის არაბთა დეპუტაცია, თავადის შეიხ-ნასრის მეთაურობით. დეპუტაციას თან მიჰყავს რამდენიმე ძვირფასი ცხენი საჩუქრად მისართმევად.

„С.-Пб. Вѣд.“ იუწყება, რომ ნება დართულია ყოველ წლივ იარმუკობა გაჰმართონ ასხაბადში. იარმუკა უნდა გაიმართოს ხოლმე ბაქოს იარმუკაზე ერთის თვით ადრე.

ტაშკენტი. გაზ. „Окраина“-ს დაბეჭდილი ამბავი, რომ ტაშკენტში ხოლერინა გაჩნდა და 18000 მანათი გადასდეს ამ მოარულის საზრძოლველადაო, მართალი არ არის.

მადრიდი. ვალენციაში გაჩნდა ერთ გვარი მოარული. ეს სენი, როგორც ჰფიქრობენ, ხოლერა უნდა იყოსო, მაგრამ ეს ჯერ ნამდვილად დამტკიცებული არ არის. მოარული ძალიან მოედო ხალხს. ქალაქის გარშემო ადგილებში 30 ალაგას არის გაჩენილი. უმთავრესს ქალაქებში, განსაკუთრებით მეწამულის ზღვის სანაპიროებზედ ნაბძანებია, რომ ამ თაეითვე შეემზადნენ და იხმარონ ყოველ გვარი ღონის-ძიება მოარულის თავიდგან ასაცილებლადაო.

პარიჟი. მთავრობამ ბრძანება გამოსცა, რომ ისპანიის საზღვარზე სასანიტარო ზედამხედველობა დაწესდესო.

ბერლინი. „საიმპერიო მაჩვენებელი“ იუწყება, რომ გერმანიამ და ინგლისმა ხელ შეკრულობა დასდეს. ამ ხელ-შეკრულობით გერმანია უთმობს ინგლისს ვიტასა, სომალების და აგრეთვე ზანზიბარის სულთანის პროტექტორატს იმ ადგილს გარდა, რომელიც გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკის კამპანიას აულია იჯარით. ინგლისიც თავის მხრივ გერმანიას უთმობს გელგოლანდს, თუ პარლამენტი თანახმა გახდა. რაც შეეხება გერმანიის სამხედრო ბეგრისა და გერმანიის სადამოქნო კანონ-მდებლობის შემოღებას გელგოლანდში, ამ კუნძულის მცხოვრებთ ეძლევათ ვადა, რომლის განმავლობაშიაც შეუძლიანთ ამოირჩიონ ან ინგლისისა და ან გერმანიის ქვეშევრდომობა.

პეტერბურგის ბირჟა, 5 ივნისი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 6 96 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 139½ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 09 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 239 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 215½ |
| —მესამისა . . . | 212 | — „ | 213½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკეობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რავი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

## გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

---

დაიბეჭდა და ისყიდება

„ქართველთა ამხანაგობის“

წიგნის მაღაზიაში

(ლორის-მელიქოვის ქუჩ. ზუბალოვ ს სახლი)

გ. ჩარკვიანის

გამოცემული ახალი წიგნი

## წყალობა

პოემა ანტონ ფურცელაძისა

ფასი 20 კაპ.

(5—2)

---

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ

ახლად დაარსებულ

«ქართველთა ამხანაგობის»

წიგნის მაღაზიაში

(ლორის მელიქოვის ქუჩა)

დაბადება და აღზრდა

მეფე ერეკლესი

ლეგენდა ლექსად ბაჩანასი

ფასი 15 კაპ.

(6—6)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . . | „ 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ 25 |

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

## დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად, ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул, домъ Зем. Банка, № 102.

---

კერძო ექიმი

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელ ისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე ს დამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8 მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2 სახლი პოპოვისა. ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (10—9)

---

## კბილი ალარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ



და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.

ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებ თ ადამიანს კბილები ჰნახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი ამზადებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106.

(208—18)

---



სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის

## არყენის ხის ბალზამი დ-რის ლინგილიასი.

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას და ხელ-მოწერილს ჩვენის ერთად ერთ აგენტის ვასილ ბურიხისას ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნი ქუჩ. ზედ, 18—19. Валтрихъ

ფასი: შუშა ღირს 1 მან. 65 კაპ.; ბენზოის საპონი ღირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ლიპო-პომადი (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ღირს 70 კ., აზიის რუსეთს 1 მან.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქსა, სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში.

ტფილისს: კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ვ. გრივნაკთან, გ. ა პოპოვთან, მ. მარტიროზოვთანა და ა. პოპოვთან.

(19—9)

---

## კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ,

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეკზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

Доз. ценз. Тифлисъ, 7-го Іюня 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баровской и Лорисъ-Меликов. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე